საპროტესტო აქციების და სამოქალაქო აქტივისტების სასამართლო პროცესების მონიტორინგი

2024

უფლებადამცველთა გაერთიანება – ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: *კარლო შერაზადიშვილი*

რედაქტირება: *ალეკო ცქიტიშვილი, ნინო ტლაშაძე*

2024

სარჩევი

- შესავალი 4
- საპროტესტო აქციებზე დაკვირვების შედეგები 5
- საპროტესტო აქციების ძალადობრივი მეთოდებით დაშლა 6
- საზოგადოებრივი ტერორი (ღირსების შემლახავი, წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები) 9
- მედიაზე ძალადობა 12
- სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები 14
- *გვიად რატიანის ადმინისტრაციული საქმე* 14
- *დავით წოწორიას ადმინისტრაციული საქმე* 16
- *თეონა ჭალიძის, ნიკა ფარულავას და სხვების ადმინისტრაციული საქმე* 16
- დასკვნა 18

შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს 2024 წლის 1 აგვისტოდან 12 დეკემბრის ჩათვლით, სამოქალაქო აქტივისტების სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შედეგებს და თბილისში საზოგადოებრივი მოძრაობების და პოლიტიკური პარტიების მიერ ორგანიზებულ ან სპონტანური შეკრება–მანიფესტაციების მონიტორინგის ძირითად მიგნებებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები 2024 წლის აგვისტოდან დააკვირდნენ 6 სასამართლო პროცესს და 15 საპროტესტო აქციას, რომლებიც 2024 წლის ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებს[1] და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერებაზე პარტია „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას[2] უკავშირდება.

სწორედ ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას მოჰყვა თბილისში და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ფართომასშტაბიანი და უწყვეტი საპროტესტო აქციები,[3] რასაც ხელისუფლებამ არაპროპორციული ძალა, სამოქალაქო საზოგადოების ტერორი, აქციის მონაწილეების დემონსტრაციული და ძალადობრივი დაკავება დაუპირისპირა.

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები, მათ შორის: აქციის მონაწილეების სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაშლისას ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევა,[4] აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების უფლებების უგულებელყოფა, აქციის მონაწილეების მიმართ დაკავების პროცესში და მას შემდეგ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი ფაქტები,[5] აქციის ფასილიტაციის პროცესში არაპროპორციული რაოდენობის და არაიდენტიფიცირებული[6] პოლიციელების მობილიზების ტენდენცია.

ანგარიშში ასევე ასახულია სამოქალაქო აქტივისტებისა და უფლებადამცველების წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში მიმდინარე და დასრულებული ადმინისტრაციული წარმოების საქმეები. სასამართლო სხდომების მონიტორინგის მიხედვით დგინდება, რომ ისევე როგორც წინა წლებში, საქართველოში კვლავ აქტუალურია სამართლიანი სასამართლოს როგორც

---

[1] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ 26.10.2024 ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/689/geo/ 10.12.2024

2 „რადიო თავისუფლება“: „ქართულ ოცნებას“ 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნა არ სურს. 28.11.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html 10.12.2024

3 „ნეტგაზეთი“: პროტესტის მე–12 დღე რუსთაველზე. 10.12.2024 ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/755571/ 10.12.2024

[4] იხ. NGO-ები გაეროს სპეციალურ პროცედურებს, ევროპის საბჭოს კომისარსა და ეუთოს მიმართავენ ადამიანის უფლებების მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით 06.12.2024 ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1570/ 10.12.2024

[5] იხ. დაკავებულ მოქალაქეებს არაადამიანურად ეპყრობიან! 02.12.2024 ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1567/ 10.12.2024

[6] „ნეტგაზეთი“: დარბევაში ნიღბიანი სპეცრაზმელები და ძალოვნები მონაწილეობენ, ყოველგვარი საიდენტიფიკაციო ნიშნების გარეშე 30.11.2024 ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/754030/ 10.12.2024

ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტების, უდანაშაულობის პრეზუმფციის და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დარღვევა. უდიდეს :გამოწვევას წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მხრიდან ბრალის დამტკიცებისათვის სასამართლოში უტყუარ მტკიცებულებათა წარდგენის დაბალი სტანდარტები.

საპროტესტო აქციებზე დაკვირვების შედეგები

„რუსული კანონის“ წინააღმდეგ 2024 წლის გაზაფხულზე გამართული აქციების დასაშლელად გამოყენებულ ძალადობრივ მეთოდებთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში ბევრად უფრო მასშტაბური იყო სამართალდამცავთა მხრიდან შეკრების დასაშლელად გამოყენებული არაპროპორციული ძალის, აქციის მონაწილეთა დაკავებისას ანდა დაკავების შემდეგ, იზოლატორში გადაყვანამდე, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები, რაც უმრავლეს შემთხვევაში გათანაბრებული იყო წამებასთან. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 28 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით მისმა წარმომადგენლებმა დროებითი მოთავსების იზოლატორებში და კლინიკებში აქციის 318 მონაწილე მოინახულეს. მათგან 222 არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა, 155 პირს სხეულზე აღენიშნებოდა ხილული დაზიანებები.[7] აქციების დროს არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ როგორც სამოქალაქო აქტივისტები, ისე მედიის წარმომადგენლები.[8]

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, გრძელდება ტენდენცია, რომლის თანახმად, სამართალდამცავთა მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების შესრულება - აქციის ფასილიტაცია ხდება არა ქართული ან/და საერთაშორისო სამართლით დადგენილი სტანდარტებით, არამედ პოლიტიკური დღის წესრიგით. საპროტესტო აქციებზე მობილიზებული სამართალდამცავების მოქმედებები უმრავლეს შემთხვევაში არ არის ნაკარნახევი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და დანაშაულის პრევენციის ინტერესებიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში დემონსტრანტებთან დაპირისპირება უშუალოდ სამართალდამცავთა მხრიდან იყო პროვოცირებული, გინებით[9] და სხვა პროვოკაციული მოქმედებებით. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სამართალდამცავი ორგანოების პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის აუცილებლობაზე.

7 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება. 06.12.2024 https://www.facebook.com/photo?fbid=1122876195873619&set=a.251767382984509 10.12.2024

8 იხ. 28 ნოემბრიდან მედიის საქმიანობაში ხელშეშლის 90-ზე მეტი ინციდენტი მოხდა 09.12.2024 ხელმისაწვდომია: ბმული 10.12.2024

9 „ფორმულა“ - „სპეცრაზმელები რუპორით აქციის მონაწილეებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ“ 30.11.2024 ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=946490627384495 10.12.2024

2024 წლის აპრილი–მაისის აქციების მსგავსად, დემონსტრანტების წინააღმდეგ განსაკუთრებული სისასტიკით ძალის გადამეტების ფაქტები განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს უკავშირდება. ჯერ კიდევ „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართული აქციების დროს მათი მხრიდან აქციის მონაწილეებზე ძალადობა ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეაფასაა როგორც წამება[10] და არაადამიანური მოპყრობა. სწორედ ამ საფუძვლით აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტმა სანქციები დაუწესა გდდ-ს ხელმძღვანელ პირებს.[11] მიუხედავად ამისა, მათი პასუხისმგებლობის საკითხი დღემდე არ დამდგარა და ისინი კვლავ ინარჩუნებენ თანამდებობებს, უფრო მეტიც, წინასაარჩევნო პერიოდში მათ უფლებამოსილებაც გაეზარდათ.[12]

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოვლინდა საპროტესტო აქციებში მონაწილე სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ ე. წ. ზონდერების ჯგუფების თავდასხმები, რაც ხელისუფლების მხრიდან წახალისებული ძალადობის კიდევ ერთი ფორმაა.

საპროტესტო აქციების ძალადობრივი მეთოდებით დაშლა

საქართველოში მასშტაბური საპროტესტო აქციები 28 ნოემბრის საღამოდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების" მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში აღარ დადგება ევროკავშირთან წევრობაზე მოლაპარაკების გახსნის საკითხი. მან ასევე განაცხადა, რომ საქართველო უარს ამბობდა ევროკავშირის საბიუჯეტო დაფინანსებაზე. მალევე სპონტანურად, ძირითადად - სოციალური ქსელების საშუალებით, დაორგანიზდა საპროტესტო აქცია და პარლამენტის წინ ათიათასობით მოქალაქე შეიკრიბა. აქცია სრულად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. გარდა ამისა, შეკრება იმდენად სპონტანურად მოხდა, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდათ რესპირატორები, პირბადეები და სათვალეები, წიწაკის სპრეის და ცრემლსადენი გაზისგან თავის დასაცავად.

მიუხედავად აქციის მშვიდობიანი ხასიათისა, 29 ნოემბერს, ღამის ორი საათიდან, პარლამენტის გვერდით მდებარე ჭიჭინაძის ქუჩაზე განთავსებულმა საპოლიციო ძალებმა მოულოდნელად დაიწყეს დემონსტრანტების დაკავება,[13] რასაც პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. პოლიციამ დაკავებების პარალელურად დაიწყო წიწაკის სპრეის გამოყენება. დაახლოებით 02:30 საათიდან

[10] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მოკლე ანგარიში, 3 ოქტომბერი, 2024 წელი. ხელმისაწვდომია: https://hrc.ge/files/reports/342HRC-%20Brief%20Monitoring%20Report%20geo.pdf 10.12.2024

[11] „რადიო თავისუფლება“: „აშშ-მა ზვიად ხარაზიშვილს, მილერი ლაგაზაურს, კონსტანტინე მორგოშიასა და ზურაბ მახარაძეს სანქციები დაუწესა“. 16.09.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33122247.html 10.12.2024

[12] იხ. უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება, 09.10.2024 ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/files/351347statement.pdf 10.12.2024

[13] „რადიო თავისუფლება“: შსს-ს ცნობით, დაკავებულია 28-29 ნოემბრის აქციის 43 მონაწილე. 29.11.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33220080.html 10.12.2024

საპოლიციო ძალებმა უკვე მასობრივად დაიწყეს აქციის დაშლა და დემონსტრანტების დაკავება, რისი მიზეზი და წინაპირობა არ ყოფილა. დაახლოებით 02:45 საათზე დემონსტრანტების მიმართულებით თავისუფლების მოედნიდან დაიძრა სპეცრაზმი და წყლის ქავლის მანქანები. პოლიციამ მასობრივად გამოიყენა ცრემლსადენი გაზი და წყლის ქავლი, რომელშიც სავარაუდოდ გარეული იყო დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებები.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების მიხედვით, სპეციალური საშუალებები შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ პროპორციულად, კანონიერად და მინიმალური ინტენსივობით. ამასთან, წყლის ქავლი და ცრემლსადენი გაზი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა აუცილებელია შეკრებაში მონაწილე ჯგუფიდან მომდინარე საფრთხის მართვა, ძალადობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სახელმძღვანელო პრინციპების (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო დოკუმენტის[14] თანახმად, ასევე აკრძალულია სპეციალური საშუალებების ერთდროულად გამოყენება.

მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა აქციის მონაწილეების ძალადობრივი დევნა და უკანონო დაკავება. შსს-ს ოფიციალური განცხადებით, 28–29 ნოემბერს აქციის 43 მონაწილე დააკავეს.

28 ნოემბრიდან აქციებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო. 29–30 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე შეკრებილი აქციის მონაწილეების რაოდენობამ 200 ათასს გადააჭარბა[15]. მოქალაქეები ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ ლიდერების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას და ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვდნენ. მოქალაქეთა მასობრივ პროტესტს ხელისუფლებამ ძალადობა და რეპრესიები დაუპირისპირა. დემონსტრაციების დაშლის, დემონსტრანტების ცემისა და უკანონო დაკავების ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად მობილიზებული იყო უპრეცედენტო მასშტაბის პოლიციური ძალები. სადამსჯელო ოპერაციებში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა შესაბამისი ქვედანაყოფისა და ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები, მათ შორის - განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ძალები, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ ჩაფხუტებით, ხელკეტებით, ფარებით, რეზინის ტყვიების სასროლი იარაღით, ცრემლსადენი გაზით და წიწაკის სპრეით. აქციის დაშლაში აქტიურად მონაწილეობდა წყლის ქავლის მანქანები.

პირველ დეკემბერს დემონსტრანტების ნაწილი პარლამენტის მიმდებარედ 9 აპრილის და ზუბალაშვილების ქუჩებზე იყვნენ შეკრებილები, აქვე იყო განთავსებული პოლიციის კორდონი. წინა რიგებს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები იკავებდნენ, მათ უკან მობილიზებული იყვნენ რობოკოპები. აქციის მონაწილეთა ნაწილი ცდილობდა პოლიციელებთან კომუნიკაციაში შესვლას

[14] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Report on Monitoring of Freedom of PeacefulAssembly in Selected OSCE Participating States (May 2011 – June 2012), 9 November 2012, para. 201, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/smw90
15 იხ. 30 ნოემბერს რუსთაველზე 200 000-მდე ადამიანი შეიკრიბა. 01.12.2024 ხელმისაწვდომია: https://cnews.ge/home/news_description/96573 10.12.2024

და მოუწოდებდნენ, უარი ეთქვათ ძალადობაზე და უკანონო ბრძანებების შესრულებაზე, პერიოდულად ისმოდა შეძახილები. რამდენჯერმე მოხდა საახალწლო ფეიერვერკის უმისამართოდ გასროლა. დაახლოებით 21:00 საათიდან სამართალდამცავებმა პერიოდულად, შესაბამისი გაფრთხილების გარეშე, გამოიყენეს წყლის ჭავლი აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ. ამის პარალელურად, დემონსტრანტთა მცირე ჯგუფი საკანონმდებლო ორგანოსა და სპეციალური დანიშნულების რაზმის მისამართით იყენებდა პიროტექნიკას.

საერთაშორისო სტანდარტებისა და შსს-ს სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიხედვით[16], სამართალდამცავები ვალდებულნი არიან რეაგირება მოახდინონ სპორადული ხასიათის ინციდენტებზე და აღკვეთონ, რაც არ წარმოადგენს მთლიანი შეკრების ძალადობრივი დაშლის საფუძველს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ათიათასობით მოქალაქე მშვიდობიანად, კონსტიტუციის შესაბამისად გამოხატავდა პროტესტს და მთლიანად აქციის დარბევის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, დაახლოებით 02:00 საათზე, ერთმანეთის პარალელურად, თავისუფლების მოედნიდან, 9 აპრილის და ჭიჭინაძის ქუჩებიდან დაიძრა სპეციალური დანიშნულების რამდენიმე რაზმი[17], რომელმაც აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოიყენა სპეციალური საშუალებები.

სამართალდამცავები კვლავ საერთაშორისო სტანდარტების უხეში დარღვევით იყენებდნენ წყლის ჭავლს, სადაც გარეული იყო დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებები. ჯანდაცვის ექსპერტთა განცხადებით. მხუთავ აირში სავარაუდოდ გარეული იყო ასევე გაურკვეველი ქიმიური ნივთიერება, რაც საკმაოდ დიდი დისტანციიდან გამოყენების შემთხვევაშიც კი, შეუძლებელს ხდიდა სუნთქვას და საუბარს. საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International 2015 წელს გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში[18] ჯანმრთელობის იმ უარყოფით შედეგებზე საუბრობს, რაც მოჰყვება წყლის ჭავლის გამოყენებას, სადაც შერეულია ქიმიური ნივთიერებები.

6–7 დეკემბერს სამართალდამცავებმა რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ათიათასობით მშვიდობიან მოქალაქეს კვლავ დაუპირისპირეს არაპროპორციული ძალა[19] და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, გამოიყენეს სპეციალური საშუალებები - გაზის კაფსულები, წყლის ჭავლი და წიწაკის სპრეი. პერიოდულად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, რამდენიმე სამართალდამცავისგან შემდგარი ჯგუფი, ძალის გამოყენებით აკავებდა მშვიდობიან დემონსტრანტებს და ფიზიკურად

---

[16] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის No1002 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ. 11.07.2021

[17] „ტვ პირველი“: თავისუფლების მოედნიდან სპეცრაზმი დაიძრა. 01.12.2024 ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=iG06WUywmgY 10.12.2024

[18] იხ. GUIDELINES FOR IMPLEMENTATION OF THE UN BASIC PRINCIPLES ON THE USE OF FORCE AND FIREARMS BY LAW ENFORCEMENT OFFICIALS ხელმისაწვდომია: ბმული 10.12.2024

19 „რადიო თავისუფლება“: 6-7 დეკემბრის ღამეს საპროტესტო აქციიდან კლინიკებში 9 ადამიანი გადაიყვანეს 07.12.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33230374.html 10.12.2024

უსწორდებოდა მათ. ამასთან, საპოლიციო ძალების მხრიდან მუდმივად ხდებოდა ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა.

7 დეკემბერს, დაახლოებით 00:34 საათზე, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, თავისუფლების მოედნიდან დაიძრა საპოლიციო ძალების ნაწილი. ამის პარალელურად, ჭიჭინაძის ქუჩაზე დაიწყეს მშვიდობიანი მოქალაქების დაკავება[20]. 01:50 საათზე სამართალდამცავებმა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაიწყეს მშვიდობიანი აქციის მასშტაბური დარბევა. არაპროპორციული ძალის გამოყენებას წინ უძღოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შაბლონური განცხადება, თითქოს აქციის მონაწილეები არღვევდნენ კანონს.

საზოგადოებრივი ტერორი (ღირსების შემლახავი, წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები)

რუსული კანონის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებთან შედარებით, საზოგადოების დაშინებისკენ მიმართული ტერორი კიდევ უფრო მასშტაბური გახდა ნოემბერ-დეკემბერში. სამართალდამცავები ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ჩხრეკდნენ და აკავებდნენ საპროტესტო აქციებზე მიმავალ ადამიანებს, ხელს უშლიდნენ და თავს ესხმოდნენ მედიის წარმომადგენლებს. რუსთაველის გამზირის მიმდებარე ქუჩებზე მობილიზებული იყვნენ სავარაუდოდ სამართალდამცავებთან კავშირში მყოფი ძალადობრივი დაჯგუფებები, რომლებიც თავს ესხმოდნენ და უსწორდებოდნენ დემონსტრანტებს და ჟურნალისტებს. აქციის მონაწილეთა დაშლისა და დაკავების პროცესში, პოლიციის მხრიდან დემონსტრანტების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა საქართველოს სახალხო დამცველმა წამებად შეაფასა.[21] დემონსტრაციების დარბევის პროცესში გამოყენებული სიტემური და ორგანიზებული ძალადობა, დაკავებულთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის მიყენებული დაზიანებების სიმძიმე, ლოკაცია და ხასიათი გვაძლევს საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პოლიცია ძალადობრივ მეთოდებს აქციების მონაწილეთა დასასჯელად იყენებდა.

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენებას.[22] წამების აბსოლუტურ და ყოვლისმომცველ აკრძალვას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.[23] აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წამების სამართლებრივი განმარტება განსხვავდება მოცემული ტერმინის იმ გაგებისგან, რომლითაც ის ძირითადად დამკვიდრებულია

20 „რადიო თავისუფლება“: 6-7 დეკემბრის ღამეს პოლიციამ 48 ადამიანი დააკავა 07.12.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33230156.html 10.12.2024

[21] იხ. სახალხო დამცველის განცხადება 03.12.2024 ხელმისაწვდომია: ბმული 10.12.2024

[22] საქართველოს კონსტიტუციის მე–9 მუხლი

[23] ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენცია მე–3 მუხლი

საზოგადოებაში. გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის[24] მიხედვით, „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ქმედება ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით.“

მოპყრობის სიმძიმის ხარისხის შეფასებისთვის, ყურადღება უნდა გამახვილდეს მოპყრობის შინაარსზე, ფორმაზე, ხანგრძლივობაზე, ფიზიკურ და სულიერ ზიანზე, ზოგჯერ კი სქესზე, ასაკზე და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას არამარტო ობიექტური გარემოებები, არამედ სუბიექტური შეფასება მსხვერპლის მხრიდან, ისევე, როგორც საზოგადოების დამოკიდებულება და ტოლერანტობის ხარისხი ამა თუ იმ აქტის მიმართ.

საპროტესტო აქციების დროს ცემეს და დააკავეს ექიმები, რომლებიც დაშავებული დემონსტრანტების დახმარებას ცდილობდნენ, სასტიკად გაუსწორდნენ შშმ პირს, რომლის დაზიანებები იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ აუცილებელი გახდა მისი კლინიკაში გადაყვანა.[25] საპოლიციო ძალების განსაკუთრებული სისასტიკის მსხვერპლი, 3 დეკემბერს დაზარალებული 22 წლის ახალგაზრდა თითქმის 10 დღე მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა.[26] გავრცელებული ინფორმაციით, სპეცრაზმელებმა მას თვალში, სავარაუდოდ, ე.წ. გაზის კაფსულა მოარტყეს.

საპროტესტო აქციების მიმდინარეობის დროს, 10 დეკემბრის მდგომარეობით, 500-ზე მეტი პირი დააკავეს; მათ აბსოლუტურ უმრავლესობას არ განუმარტეს დაკავების შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები. დაკავებულთა უმრავლესობა ვერ სარგებლობდა მინიმალური საპროცესო უფლებებით. გარდა ამისა, ადვოკატების მიერ საზოგადოებისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებულთა უდიდესი ნაწილი სასტიკად არის ნაცემი, რასაც ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გავრცელებული განცხადება. მედიით გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულების მიმართ, ძალადობას ადგილი ჰქონდა როგორც დაკავების პროცესში,[27] ასევე - დაკავების შემდეგ. რამდენიმე დაკავებულის განცხადებით, მათზე ძალადობა გაგრძელდა იზოლატორებშიც. დაზარალებულების განცხადებით, გარდა დაკავების პროცესში განხორციელებული ძალადობისა, მათი ცემა პოლიციის მიერ სპეციალურად მოწყობილ მიკროავტობუსებში გრძელდებოდა,

---

[24] გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია“ მუხლი 1.

[25] სტუდია მონიტორი, სპეცრაზმმა შშმ პირი დააკავა და სცემა 11.12.2024 ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=972185764733333 12.12.2024

26 იხ. აქციაზე დაშავებული 22 წლის ბიჭი კვლავ მედიკამენტოზური ძილის ქვეშ რჩება. ხელმისაწვდომია: ბმული 10.12.2024

[27] იხ. დაკავებულ მოქალაქეებს არაადამიანურად ეპყრობიან! 02.12.2024 ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1567/ 10.12.2024

სადაც ათობით პოლიციელი რიგ-რიგობით გონების დაკარგვამდე ცემდა დაკავებულებს. ძირითად შემთხვევაში არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ზემდგომი პირი ხელმძღვანელობდა და გასცემდა მითითებებს, სად დაერტყათ დაკავებულებისთვის. დაკავებულების უმრავლესობას ძირითადი დაზიანება სახის და თავის არეში აქვს მიყენებული,[28] რაც მიანიშნებს სისტემური ძალადობის ტენდენციაზე, სამართალდამცავთა ქმედებები მიმართული იყო არა სავარაუდო სამართალდარღვევის აღკვეთისაკენ, არამედ დემონსტრანტების დასჯისაკენ.[29]

დაკავებულების ინფორმაციით, ცემის პარალელურად, მათ აფურთხებდნენ, აგინებდნენ და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას.[30] ხანგრძლივი, უწყვეტი ცემის შემდეგ, პოლიციის მიკროავტობუსებში, რომლითაც ისინი გადაჰყავდათ, სისხლის გუბეები იდგა[31]. პოლიციის მიკროავტობუსიდან გადმოყვანილ დაკავებულებს, საპატრულო პოლიციის მანქანაში ჩასმამდე, სამართალდამცველების „კორიდორში“ ატარებდნენ, სადაც პოლიციელები დამატებით ურტყამდნენ ფეხებს სახისა და ზურგის არეში. რამდენიმე დაზარალებულის ინფორმაციით, ნაცემ ადამიანებს უღებდნენ ვიდეოს და ფოტოებს. ერთ-ერთი, ვინც ცემის პროცესს იღებდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზვიად ხარაზიშვილი იყო.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ინფორმაცია სამართალდამცავების მოროდიორობის შესახებ. სპეცრაზმელები დაკავებულებს ართმევდნენ ტელეფონებს, ყურსასმენებს, დამტენებს, ქურთუკებს და ფეხსაცმელებსაც კი, რის გამოც ბევრი მათგანი სამედიცინო დაწესებულებაში ფეხშიშველი მიიყვანეს.

მონიტორინგის ანგარიშებიდან ასევე დგინდება, რომ საგანგაშოა საპოლიციო ძალების მიერ აქციის დაშლის ტაქტიკა. ძირითადად საპოლიციო ძალები სხვადასხვა მიმართულებიდან ალყაში აქცევდნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს, რა დროსაც ყოველგვარი საერთაშორისო თუ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების უგულვებელყოფით, ხდებოდა დიდი რაოდენობის უცნობი ქიმიური ნივთიერების გაზის კაფსულების გამოყენება. დემონსტრანტებისთვის უკან დასახევი გზა, ძირითადად, რუსთაველის გამზირის გავლით რჩებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მონაწილეთა ნაწილზე დევნა ხორციელდებოდა სპეციალური დანიშნულების რაზმის ნაწილის მიერ, რომელიც სპეციალურ ტექნიკასთან ერთად (მათ შორის, წყლის ჭავლის მანქანა) რესპუბლიკის მოედანზე იყო განლაგებული[32].

---

[28] რადიო თავისუფლება: „რამდენმა პოლიციელმაც დამინახა, ყველამ დამარტყა“ - როგორ ასამართლებენ აქციაზე დაკავებულებს, 02.12.2024. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/7xcmI 10.12.2024

[29] საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით. 24.12.2024 ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/724/geo/ 24.12.2024

[30] რადიო „თავისუფლება“: „რამდენმა პოლიციელმაც დამინახა, ყველამ დამარტყა“ - როგორ ასამართლებენ აქციაზე დაკავებულებს, 02.12.2024. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/7xcmI 10.12.2024

31 რადიო „თავისუფლება": უწყვეტი ცემის შემდეგ მიკროავტობუსში სისხლი იდგა" 02.12.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33224000.html 10.12.2024

32 იხ. საპოლიციო ძალებმა აქცია ალყაში მოაქციეს - სპეცრაზმი განლაგდა რესპუბლიკის მოედანზეც. 04.12.2024 ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/en/news/726832-sapolitsio-dzalebma-aktsia-alqashi-moaktsies 10.12.2024

აქციების დარბევის პროცესში სამართალდამცავების მიერ წყლის ჭავლის, წიწაკის სპრეის და ცრემლსადენი გაზის კანონიერი საფუძვლების გარეშე გამოყენების გარდა, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ნიღბიანი, არაიდენტიფიცირებადი პირების მიერ მოქალაქეებზე ფიზიკური ძალადობა, ჯგუფურად თავდასხმა, ცემა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. იდენტიფიკაციის ყოველგვარი ნიშნის გარეშე მყოფი, საპოლიციო აღჭურვილობის მქონე ნიღბიანი პირების მხრიდან რუსთაველის გამზირზე დემონსტრანტების რამდენიმე საათის განმავლობაში დევნის მიზანი მოქალაქეების ფიზიკური დაზიანება, მათი სამაგალითო დასჯა–დაშინებაა და არაფერი აქვს საერთო კანონიერ საპოლიციო ღონისძიებებთან.

ცალკე აღსანიშნავია ტერიტორიის მასშტაბი, სადაც მიმდინარეობდა დემონსტრანტების დევნა. მედიით გავრცელდა უამრავი ფაქტი, სადაც აღბეჭდილია როგორ აყენებს პოლიცია ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას მშვიდობიან დემონსტრანტებს შეკრების ადგილიდან მოშორებით, მათ შორის აფთიაქებსა[33] და მაღაზიებში.

გარდა უშუალოდ საპროტესტო აქციების ძალადობრივი დარბევისა, სამართალდამცავებმა მასობრივად დაიწყეს აქციაზე მიმავალი პირების უკანონოდ ჩხრეკა[34], აირწინაღების, სამედიცინო ნიღბების და სხვა დამცავი საშუალებების უკანონოდ ჩამორთმევა და რიგ შემთხვევაში - დაკავება, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების დაშინებას და მსუსხავი ეფექტს ახდენს შეკრება–მანიფესტაციის უფლებით სარგებლობაზე.

მედიაზე ძალადობა

დემოკრატიულ საზოგადოებაში მედია, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საზოგადოებრივ ინტერესს მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის და იდეების მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად გავრცელება მედიის წარმომადგენლების მთავარ მოვალეობას წარმოადგენს, ხოლო საზოგადოებას, თავის მხრივ, გააჩნია მსგავსი სახის ინფორმაციის მიღების უფლება.[35] მედიის ძირითადი ფუნქცია ასევე მოიცავს საზოგადოებრივი თუ, პოლიტიკური ხასიათის შეკრებებისა და მანიფესტაციების გაშუქებას და აქციაზე განვითარებული მოვლენების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას.[36] გავრცელებული ინფორმაცია, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს როგორც აქციის ორგანიზატორების და მონაწილეების, ასევე, სამართალდამცავი პირების ქმედებების შესაფასებლად და, ამასთან, ხელი შეუწყოს

[33] ტვ ფორმულა: პოლიცია აქციის მონაწილეების დევნასა და დაკავებას აგრძელებს — მოქალაქეების დასაკავებლად ისინი აფთიაქში შევიდნენ. 29.10.2024 ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=1509719903077470 10.12.2024

34 რადიო „თავისუფლება“: მეტროებში ისევ გრძელდება მოქალაქეების ჩხრეკა, რომელსაც შსს„ზედაპირულ დათვალიერებას“ უწოდებს. 05.12.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33228305.html 10.12.2024

[35] Najafli v. Azerbaijan, no. 2594/07, § 66, 02/10/2012.

[36] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის („OSCE/ODIHR“) სპეციალური ანგარიში მედიის როლი საჯარო შეკრებების დროს. ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/f/documents/2/f/467892.pdf 10.12.2024

ამ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. სამართალდამცავები, გარდა იმისა, რომ ვალდებულები არიან, აქციის მიმდინარეობისას მედიის წარმომადგენლებს ხელი არ შეუშალონ, პირიქით ხელი უნდა შეუწყონ მათ მიმდინარე მოვლენების გაშუქებაში.

ნებისმიერი ღონისძიება, რომლითაც ხელი ეშლებათ ჟურნალისტებს თავიანთი სამუშაოს შესრულებაში, არღვევს საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10[37] მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებას. ამასთან, დაუშვებელია ჟურნალისტის და მედიის სხვა წარმომადგენლების აღჭურვილობის მიზანმიმართულად ჩამორთმევა ან/და დაზიანება, მათ შორის, გადაღებული კადრების განადგურება. მსგავსი ტიპის ქმედებები წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტებით აკრძალულ პრაქტიკას და შესაძლოა, აღქმული იყოს, როგორც მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული ცენზურა. საერთაშორისო სტანდარტების მსგავსად, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლა, მათ შორის ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით[38] დასჯად ქმედებას.

ჟურნალისტისთვის პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის შემთხვევაში, აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს პასუხისმგებელ პირთა დასჯა გამჭვირვალე და სწრაფი პროცედურებით. სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი ძალისხმევის გამოჩენა, მათ შორის, გამოძიების გაჭიანურება და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიუცემლობა აღვივებს დაუსჯელობის სინდრომს, ახალისებს ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების მიმართ ძალადობას და ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას.[39]

გარდა დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობრივი ქმედებებისა, საზოგადოებამ იხილა უშუალოდ მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული მიზანმიმართული ძალადობის ფაქტები.[40] ძალადობის ფაქტები განხორციელდა უშუალოდ პროფესიული მოვალეობის შესრულების მომენტში, რა დროსაც მკაფიოდ იყო შესაძლებელი მათი იდენტიფიცირება და გამორჩევა აქციის მონაწილეებისაგან. ყოველივე ეს მიუთითებს არა მხოლოდ მათ საქმიანობაში ხელის შეშლის მიზანზე, არამედ საპოლიციო ძალების ინტერესზე, არ გაშუქდეს აქციის ძალადობრივი დარბევა. გარდა უშუალოდ აქციის დაშლის დროს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტებისა და ძალადობისა, 7 დეკემბერს საზოგადოებამ ნახა, „ტვ პირველის“ პირდაპირ ეთერში როგორ იძალადეს ჟურნალისტ მაკა ჩიხლაძეზე და ოპერატორ გიორგი შეწირულზე, სავარაუდოდ პროსახელისუფლებო უკანონო ბანდფორმირების წევრებმა,[41] რასაც

[37] ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენცია მე–10 მუხლი

[38] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 154_ე მუხლი

[39] იხ. 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება, დაკარგული თვალის მიღმა, 2019 წ. ბმული 10.12.2024

[40] იხ. 28 ნოემბრიდან მედიის საქმიანობაში ხელშეშლის 90-ზე მეტი ინციდენტი მოხდა. 09.12.2024 ხელმისაწვდომია: ბმული 10.12.2024

41 რადიო „თავისუფლება“: ტვ „პირველის“ გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ - ჟურნალისტი და ოპერატორი ნაცემები არიან. 07.12.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33230574.html 10.12.2024

მედიიდან გავრცელებული ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის გულგრილობამ და საკუთარი უფლებამოსილების არაჯეროვანმა შესრულებამ შეუწყო ხელი.

28 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით მედიის წარმომადგენელისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის 90-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა.[42] განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა უშუალოდ სამართალდამცავების მხრიდან გამოვლენილი აგრესია და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა „ტვ ფორმულას“ ჟურნალისტ გურამ როგავასათვის[43] მიყენებული ფიზიკური დაზიანებები. ჟურნალისტზე ძალადობა 29 ნოემბერს, პირდაპირ ეთერში ჩართვისას განხორციელდა. საკუთარი ჟურნალისტური საქმიანობის შესრულების დროს ასევე მძიმედ დაშავდნენ: ალექსანდრე ქეშელაშვილი და მარიამ გაფრინდაშვილი[44]. მედიის წარმომადგენლების ნაწილს დაუზიანეს ან/და წაართვეს აღჭურვილობა. სამართალდამცავთა მხრიდან განგრძობადი ძალადობის წინაპირობა სამწუხაროდ მოძალადეების დაუსჯელობის გარანტიებს უკავშირდება, უმრავლეს შემთხვევაში მოძალადე სამართალდამცავთა იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო, ხოლო მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან[45] არ მომხდარა ასეთი ძალადობის ფაქტების აღიარება, არაორაზროვანი და მკაფიო დაგმობა. რაც შეეხება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებას, დღემდე არ დამდგარა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები

ზვიად რატიანის ადმინისტრაციული საქმე

პოეტი ზვიად რატიანი 29 ნოემბერს დააკავეს საქართველოს პარლამენტთან „ქართული ოცნების“ პრემიერ მინისტრის ირაკლი კობახიძის განცხადების საპასუხოდ გამართულ საპროტესტო აქციაზე. დაკავებისას მას სპეცრაზმელებმა გაუტეხეს ნეკნი, ჩაუმტვრიეს ცხვირის ძვალი და ძგიდე, დაუზიანეს ფეხი, სხეულზე დაკავებულს აღენიშნებოდა ჰემატომები.

30 ნოემბერს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის პირველ სხდომაზე, ადვოკატმა მოსამართლეს პროცესის გადადების შუამდგომლობით მიმართა, ვინაიდან საქმის მასალები და მტკიცებულებები დაცვის

[42] 28 ნოემბრიდან მედიის საქმიანობაში ხელშეშლის 90–ზე მეტი ინციდენტი მოხდა. 09.12.2024 ხელმისაწვდომია: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/99207-28-noembridan-mediis-saqmianobashi-khelsheshlis-80-ze-meti-incidenti-mokhda 20.12.2024

43 რადიო „თავისუფლება“: ჟურნალისტ გურამ როგავას სახის ძვლები და კისრის მალა აქვს მოტეხილი, 29.11.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33220188.html 10.12.2024

44 რადიო „თავისუფლება“: მარიამ გაფრინდაშვილი გაწერეს. ინგოროყვაში მკურნალობას სამი პირი აგრძელებს, ორი ჟურნალისტია. 30.11.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33221528.html 10.12.2024

45 ტვ „:ფორმულა“, კობახიძე ჟურნალისტებზე განხორციელებულ თავდასხმაზე. 08.12.2024 ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/121332 10.12.2024

მხარეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული, რასაც მოსამართლე დაეთანხმა. მეორე სხდომა 2 დეკემბერს ჩატარდა, სადაც პოეტი პირდაპირ საავადმყოფოდან მივიდა. შსს რატიანს ხულიგნობას და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ედავებოდა.

სხდომაზე შსს წარმომადგენელმა აქციებზე დაკავებული 8 პირის საქმის გაერთიანების შუამდგომლობა დააყენა, რასაც ადვოკატები არ დაეთანხმნენ იმ არგუმენტით, რომ რვავე პირი სხვადასხვა ლოკაციაზე და სხვადასხვა დროს იყო დაკავებული. მოსამართლემ შსს-ს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და განმარტა, რომ ყველა პირს ასკ 173–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედებოდა ბრალი. ტრადიციულად ადმინისტრაციულ ორგანოს სასამართლოზე არ წარუდგენია სამხრე კამერების და ვიდეო სათვალთვალო კამერების ჩანაწერები. შესაბამისად მტკიცების ტვირთი სხდომაზე მოწმის სახით გამოცხადებულმა ორმა პატრულ-ინსპექტორმა იკისრა. თუმცა, მათ მიერ მიცემული ჩვენებებიც მნიშვნელოვან უზუსტობებს შეიცავდა და ერთმანეთთან თანხვედრაში არ მოდიოდა. დაცვის მხარემ სხდომაზე სცადა ვიდეომტკიცებულების წარმოდგენა და საამისოდ მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა. ადვოკატის განმარტებით, ვიდეოში ასახულია ზვიად რატიანის დაკავების პროცესი. მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ სასამართლო განიხილავდა რატიანის მხრიდან სავარაუდო სამართალდარღვევას და არა დაკავების კანონიერებას და ძალადობას.

სასამართლოს ასეთი დამოკიდებულება ფართოდ გავრცელებული მანკიერი პრაქტიკაა. მონიტორინგის შედეგად, გასულ წლებში არაერთი შემთხვევა იყო, როდესაც პოლიციელების მიერ ძალადობით და დაკავების ყველანაირი პროცედურის უგულვებელყოფით დაპატიმრებული ადამიანები სასამართლოს მიმართავდნენ თხოვნით ემსჯელა დაკავების კანონიერების და განხორციელებული ძალადობის შესახებ. სასამართლო მხოლოდ შაბლონურად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებზე მიუთითებს და მხარეს მოუწოდებს მიმართოს სპეციალურ საგამოძიებო სასამართლოს.

დასკვნით სიტყვაში რატიანის ადვოკატმა განაცხადა, რომ პოლიციელები აქციაზე ადამიანებს აკავებდნენ არა კონკრეტული ქმედებისთვის, არამედ შემთხვევითი შერჩევით. ზვიად რატიანის არც ერთი ქმედება არ იყო უკანონო და ეს დამტკიცდებოდა, თუ მოსამართლე დასაშვებად ცნობდა მხარის მიერ წარდგენილ ვიდეომტკიცებულებას, სადაც ასევე გამოჩნდებოდა თუ როგორ იძალადეს მასზე სამართალდამცავებმა, რა დროსაც მიიღო მძიმე დაზიანებები დადა იმისათვის, რომ სასამართლო სხდომას დასწრებოდა, ხელწერილით იყო საავადმყოფოდან გათავისუფლებული.

საბოლოოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე – ზვიად ცეკვავამ, ზვიად რატიანი სამართალდამრღვევად ცნო და 8-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

დავით წოწორიას ადმინისტრაციული საქმე

შსს დავით წოწორიას ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის მე-2 ნაწილით (დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებულ სამართალდარ-ღვევას ედავებოდა. შსს წარმომადგენლის განმარტებით, 2024 წლის 19 ნოემბერს, შსს-მ თავის ფეისბუკ გვერდზე გამოაქვეყნა განკარგულება და მოუწოდა შეკრებილებს, დაეტოვებინათ დაკავებული ტერიტორია. პოლიციამ ადგილზეც გარკვევით მოუწოდა დემონსტრანტებს დაშლისაკენ და მონაწილეებს მიეცათ 15 წუთი ტერიტორიის დასატოვებლად და ინვენტარის გასატანად. მიუხედავად ამისა, წოწორიამ არ დატოვა ტერიტორია, დარჩა იქ და ხელს უშლიდა მუნიციპალური სამსახურის წარმომადგენლებსა და პოლიციელებს ამ ტერიტორიის გასუფთავებაში. ადვოკატი არ დაეთანხმა შსს-ს პოზიციას და განმარტა, რომ დაკავებული დაემორჩილა პოლიციას და გადავიდა ტროტუარზე, რასაც მოწმეებიც ადასტურებდნენ. ადვოკატის განცხადებით, ტერიტორიაზე არსებობდა ვიდეოკამერები, ასევე პოლიციელებს უნდა ჰქონოდათ სამხრე კამერების ჩანაწერები, რაც შსს-ს არ წარმოუდგენია. გარდა ამისა, დაცვის მხარემ განაცხადა, რომ სამართალდარღვევის ოქმი კანონდარღვევით იყო შედგენილი და არ ადასტურებდა წოწორიას მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. იმისათვის, რომ საქმეზე სასამართლოსათვის მარტივი გამხდარიყო ქეშმარიტების დადგენა, ადვოკატმა დააყენა ვიდეომტკიცებულებების გამოთხოვის შუამდგომლობა, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ ადვოკატს ჰქონდა საკმარისი დრო და შეეძლო გამოეთხოვა სასამართლო სხდომამდე. თავად შსს-ს მიერ წარმოდგენილ ვიდეომტკიცებულებებში არ ჩანდა დავით წოწორია. შესაბამისად, მოსამართლე ისევ მოწმე პატრულ-ინსპექტორების ჩვენებას დაეყრდნო და დავით წოწორია ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო. მოსამართლე ნათია ტოგონიძემ მას 8-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

თეონა ჭალიძის, ნიკა ფარულავას და სხვების ადმინისტრაციული საქმე

ამ სასამართლო პროცესზე შსს 10 პირს 2024 წლის 10 და 17 ნოემბერს გზის გადაკეტვას ედავებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირები სხვადასხვა დროს და ადგილზე იმყოფებოდნენ, ადვოკატების პროტესტის მიუხედავად, მოსამართლე ზვიად ცეკვავამ საქმეები გააერთიანა. 27 ნოემბერს სხდომა დაცვის მხარის შუამდგომლობით გადაიდო, ვინაიდან საქმის მასალები ადვოკატებს არ ჰქონდათ მიღებული. მოსამართლე დაჟინებით ითხოვდა, საქმის მასალებს ადგილზე გაცნობოდნენ. ამისთვის ტექნიკური შესვენებაც კი გამოაცხადა, მაგრამ ადვოკატის განცხადებით, ეს დრო არ იქნებოდა საკმარისი დაცვის მოსამზადებლად და დამატებითი მტკიცებულებების მოსაპოვებლად. ადვოკატის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში მხოლოდ დაკავების ოქმი იყო, საქმე ეხებოდა ადამიანის ბედს და დაცვის სტრატეგიის შემუშავებისთვის 1-საათიანი შესვენება არ იქნებოდა საკმარისი. მოსამართლე იძულებული გახდა სხდომა 11 დეკემბრისთვის გადაედო.

11 დეკემბერს, სასამართლო სხდომაზე, ადვოკატები ახსნა-განმარტების ეტაპზე აღნიშნავდნენ, რომ მნიშვნელოვანია დადგინდეს, რაში გამოიხატა და როდის მოხდა სამართალდარღვევა, ხალხის რაოდენობა საკმარისი იყო თუ არა გზის გადასაკეტად, როდის მოხდა გზის გადაკეტვა და ვინ გადაკეტა. კერძოდ, ადვოკატმა განმარტა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი თეონა ჭალიძე ადგილზე იმყოფებოდა არა გზის გადაკეტვაში მონაწილეობის მისაღებად, არამედ, აქციის მონაწილეთათვის კონსულტაციის გასაწევად; ადგილზე მისვლისას კი ჭავჭავაძის გამზირი უკვე გადაკეტილი დახვდა.

ადვოკატის განცხადებით, წარმოდგენილი სამართალდარღვევის ოქმები არ იძლეოდა სამართალდარღვევის ინდივიდუალურად გამოყოფის შესაძლებლობას. ოქმში არ იყო მითითებული დრო და ოქმის შინაარსი. ადვოკატის შეფასებით დარღვევა ოქმში იმდენად ფორმალურად იყო მითითებული, რომ საერთოდ ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტს.

სხდომაზე პაექრობის ნაწილში შსს-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქციაზე შეკრებილი მოქალაქეების რაოდენობა პროტესტის გამოსახატად არ იწვევდა გზის გადაკეტვის აუცილებლობას. თუმცა კითხვაზე - რამდენი ადამიანი იქნებოდა ამისთვის საჭირო, მან პასუხი ვერ გასცა.

ნიკა ფარულავას ეპიზოდში შსს-ს წარმომადგენელმა ვერ დაასახელა ზუსტი დრო თუ როდის გადაკეტა ფარულავამ გზა, მაგრამ აღნიშნა, რომ ის რკინის კონსტრუქციების აწყობით ეხმარებოდა აქციის მონაწილეებს გზის გადაკეტვაში.

ვიდეომტკიცებულების კადრების გამოკვლევის ეტაპზე ადვოკატმა მოსამართლე მიკერძოებულობაში და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევაში დაადანაშაულა.

მოსამართლემ თეონა ჭალიძის დაცვის მხარის არცერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რაც ადვოკატმა გააპროტესტა და შედეგად მოსამართლემ მას თავდაპირველად სიტყვიერი შენიშვნა მისცა, შემდგომ კი 100 ლარით დააჯარიმა.

დასკვნით სიტყვაში ადვოკატმა აღნიშნა, რომ შსს-ს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და სამართალდარღვევის ოქმი არ ადასტურებდა სამართალდარღვევის ფაქტს და შსს-ს უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მტკიცებულებათა წარდგენის ასპექტში წარმოადგენდა სასამართლოს უპატივცემულობას.

სასამართლოს ასევე მიმართა ნიკა ფარულავამ. მისი განცხადებით, შსს-ს ერთადერთი მიზანი იყო და არის აზრის გამოხატვის უფლების შეზღუდვა. მან აღნიშნა, რომ სამართალდარღვევის ჩადენის მტკიცების ტვირთი შსს ვალდებულებაა, საპირისპიროდ კი საქმეზე წარმოდგენილია გაუგებარი კადრები, რაც არ ადასტურებს სამართალდარღვევის ფაქტს.

მოსამართლე ზვიად ცეკვავამ, მხარეთა საბოლოო სიტყვის შემდეგ, 30 წუთში გამოაცხადა სარეზოლუციო ნაწილი. სასამართლომ თეონა ჭალიძის, ირაკლი პატარაიას და ქრისტინე ბოტკოველის მიმართ სიტყვიერი შენიშვნა გამოიყენა, ხოლო პროცესის მონაწილე სხვა პირები სამართალდამრღვევად ცნო

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174 –ე პრიმა მუხლის მე–4 ნაწილით და 500 ლარით დააჯარიმა.

დასკვნა

შეკრების, გამოხატვის და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობისათვის გარანტიების შექმნა, სახელმწიფოს პირდაპირი პასუხისმგებლობაა. ამისათვის სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან მიიღონ ყველა ზომა, რათა არ დაუშვან ადამიანის უფლებების დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი შეზღუდვა.

განსაკუთრებული აღნსანიშნავია სასამართლოსი და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის როლი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენციული მექანიზმის ჩამოყალიბებაში. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მხრიდან სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულის დროულ და ეფექტურ გამოძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვისთვის. მიუხედავად ამისა, დღემდე არ დამდგარა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც სავარაუდოდ პასუხისმგებელია რუსული კანონის წინააღმდეგ დემონსტრანტების წინააღმდეგ ჩადენილი იდენტიფიცირებული უმძიმესი დანაშაულების, მათ შორის წამების, ღირსების შელახვის, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებზე. .

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ადამიანის უფლებების რეალიზებას:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- პატივი სცეს შეკრების თავისუფლებას და არ დაუშვას საპროტესტო აქციების დაშლა ლეგიტიმური მიზნისა და კანონით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე;
- არ დაუშვას სპეციალური საშუალებების გამოყენება არაპროპორციულად, კანონის მიერ განსაზღვრული საფუძვლისა და ლეგიტიმური მიზნის გარეშე და დაიცვას სპეციალური საშუალებების გამოყენების წესები;
- აქციის ფასილიტაციის პროცესში ჩართოს მხოლოდ შესაბამისი კომპეტენციის მქონე დანაყოფები და აქციის ფასილიტაციისთვის გადამზადებული კადრები;
- დაემორჩილოს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის უნივერსალურ აკრძალვას აქციის ფასილიტაციის პროცესში, აქციის მონაწილეთა დაკავებისა და დაკავების შემდგომ პერიოდში;

- აღმოფხვრას აქციის მონაწილეთა მიმართ ფიზიკური ძალადობა დაკავების პროცესში და დაკავების შემდგომ;
- არ დაუშვას აქციის მონაწილეთა მიმართ „დევნის ოპერაციები“, მათი ფიზიკური ანგარიშსწორებისა და დათრგუნვის მიზნით, რაც იქონიებს მსუსხავ ეფექტს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე;
- ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების დროს რეაგირება მოახდინოს ცალკეულ პრობლემურ შემთხვევებზე და არ დაუშვას აქციის სრულად ძალადობრივად/არაკანონიერად გამოცხადება მისი შემდგომი შეწყვეტის/დაშლის მიზნით.

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- სასამართლო პროცესზე დაცული იყოს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი;
- მოსამართლეებმა უზრუნველყონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სრული, ყოველმხრივი, ობიექტური, მიუკერძოებელი და სამართლიანი განხილვა;
- მოსამართლეებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში უზრუნველყონ მტკიცების ტვირთის კანონის შესაბამისად გადანაწილება და არ მიანიჭონ უპირატესობა რომელიმე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს მათი განხილვის გარეშე.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს:

- უზრუნველყოს შსს-ს თანამშრომლების მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული ძალის გადამეტების, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება;
- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებას პერიოდულად, პროაქტიულად მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.